

თამარ ლეკვეიშვილი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი. მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს ირანის ისტორია და საქართველო-ირანის ისტორიული ურთიერთობები, აღმოსავლური წყაროთმცოდნეობა. ის მუშაობს გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის როგორც სპარსული, ისე ევროპული წყაროების თარგმანსა და შესწავლაზე.

თ. ლეკვეიშვილს დაცული აქვს დისერტაცია თემაზე „ნადერ შაჰის კავკასიური პოლიტიკა“ და არის საქართველოში და უცხოეთში გამოქვეყნებული 25 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის შეიძლება დასახელდეს ორი მონოგრაფია: „მოჰამად ქაზემის ცნობები საქართველოს შესახებ“; „ირანული ზეგავლენა ქართველ დიდგვაროვანთა სამოსში VI-VII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ფრესკების მიხედვით“ .

ამჟამად მუშაობს მე-17 საუკუნის სპარსული ახალი წყაროს, „აფზალ ალ თავარიხის“მე-3 ნაწილის (შაჰ-აბას I-ის ქრონიკა), თარგმანსა და გამოკვლევაზე.

აქვს მოპოვებული არაერთი ადგილობრივი გრანტი და უცხოეთის სტიპენდია. მათ შორის: DAAD,"Ostpartnerschaften"(Partnerships with Eastern Countries),რომლის ფარგლებშიც 2023 და 2024 წელს წაიკითხა ლექციები9ს კურსი გოტინგენის უნივერსიტეტში ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ.